სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა
ქალის-მოწერილი გაზეთის დასაკეთ და მიმართულა ვინ რედაქციის დილის 10—8 საათამდე და საღამოს 6—დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთი თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 4 ნოემბერს,
ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისგან, ქ-ნ ბაბუნია ცაგარლის და ანასტასია აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
I
ბედნიერი დღე
კომედ. 3 მოქმედ. თხზ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა.
II
მეორე მოქმედება ცაგარლის კომედიიდამ
ხანუმა
მოთამაშენი: ქ. ქ. ბაბუნია ცაგარელისა, ჩერქეზიშვილისა, ანასტ. აბაშიძე. ნებიერიძე; აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე. ჯაჯანაშვილი, ურუშაძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.
მზადდება ახალი პიესა ბატ. ხოშტარიასი „სიცოცხლე და სიკვდილი"

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგო თვალებავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. ზირრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი გ. თ. ძოგანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვისი
სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია
Лѣчебница С. В Топурія въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

*** ქართული წარმოდგენა დღეს ჩვენს თეატრში საინტერესო წარმოდგენაა დანიშნული. არდგენენ სოლოვიოვის პიესას „ბედნიერ დღეს" და ერთს მოქმედებას „ხანუმიდან" წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობენ ქ-ბნი ბაბუნია-ცაგარლისა და ახალგაზდა მოთამაშე ქალი ანასტასია აბაშიძე.

წარმოდგენას როგორც ამბობენ დიდ ძალი ხალხი დაესწრება.

*** მთავარ-მართებლის. თანაშეწეს გამგზავრება ყარსში. მთავარ-მართებლის თანაშემწე ღენერალ ლეიტენანტი ბ-ნი ფრეზე გაემგზავრა სამსახურის გამო ყარსში.

*** ლიტურღია ყოვლად უსამღვდელოესის იოანიკეს იუბილეის გამო. 7 ნოემბერს კვირას სასულიერო წოდება დღესასწაულობს მხცოვანი მწყემსთ მთავარის ყოვლად უსამღვდელოესის კიევის მთავარ-ეპისკოპოსის მიტროპოლიტის იოანიკეს 50 წლის მოღვაწეობის იუბილეის, ამის გამოისობით კვირას გარდახდილ იქნება სამადლობელო პარაკლისი და წირვა.

*** ქალაქის თვითმმართველობის შენობები ქ. ბათომში ამ ჟამად ქ. ბათომში ქალაქის თვით-მართველობა აშენებს შემდეგ საქალაქო შენობებს საავადმყოფოს, საქალაქო სასწავლებელს, ელექტრონის ვებერთელა სადგურს და მალე დაიწყებს კიდევ შენობას გიმნაზიისას და ქალაქის საბჭოსა და გამგეობისათვის.

*** წყლის მილის გაგრძელება ქ. ბათომში. ბათომში უკვე წყლის მილი გაყვანილია, მაგრამ რადგან წყალში დღითი დღე მოთხოვნილება უფრო იზრდება, ამიტომ ქალაქის საბჭოს აზრად აქვს წყლის მილი უფრო გააგანიეროს და გაავრცელოს, რათა ქალაქის მცხოვრებთ ყოფნიდეს.

[illegible] რკინის გზას ამ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობა [illegible] ებს, ყარსის გზას უკვე [illegible] ათვალიერებს და ამ დღეს [illegible] კიდეც მორჩება საგანგებო კომისია.

*** ეტლების მამოსვლა მუშტაიდის ბაღში. როგორც იქმნა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულმა ბ-ნმა მედვედიევმა შეიწყნარა დიდუბელების თხოვნა და ეტლებს ნება დაურთო დღეიდგან მუშტაიდის ბაღზე იარონ ხოლმე დიდუბისაკენ ყველ დროს და ღამითაც კი. ამ რიგად დიდუბისაკენ გზა თითქმის ნახევრად მოკლდება და ეტლებიც უფრო იაფად ღებულობენ ფასს მგზავრებისაგან.

*** აბრეშუმის თესლი. ტფილისის სააბრეშუმო სადგურს საფრანგეთიდგან გამოუწერია 124000 მისხალი აბრეშუმის თესლი (გრენა) ხალხში გასავრცელებლად.

*** ახალი დანიშნულება. ქუთაისის მაზრის მესამე განყოფილების მომრიგებელ შუამავლად დანიშნულ იქმნა პორუჩიკი ჯაფარიძე.

*** შეწირულება. მთავარ-მართებელს შეუწირავს საქალებო პირველ და მეორე გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ ათი თუმანი.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა გენერალ ბულლერისაგან 29 ოქტომბერს კაპშტადტიდგან მიღებული: „გუშინ იმ ურმებს, რომლითაც სურსათი და იარაღი მიჰქონდათ, ბურები დაეცნენ. ექვსი კაცი დაიღუპა ურმები სურსათით დაიკარგა".

მთავრობის ბრძანებით ახალი ჯარია მოწვეული, რომელიც 8 ნოემბრისთვის უნდა შეიკრიბოს ებრძანა მე 50 დივიზიას მომზადდეს სამხრეთ აფრიკაში წასასვლელად.

**პარიზი.** ლიუქსემბურგის სასახლიდგან გამოსვლის დროს მოწმებმა რამდენიმე მანიფესტაცია მოახდინეს. ზოგი „გაუმარჯოს როშფორს!" გაიძახოდა და მარსელიოზას მღეროდა პოლიციამ გაჰფანტა მანიფესტანტები.

**ვენა.** როდესაც მინისტრმა კერბერმა ლაპარაკი დაიწყო მორავიაში მომხდარ არეულობების შესახებ, ჩეხებმა საშინელი ყვირილი შეჰქნეს. ჩეხები არაფრის გულისათვის არ დაწყნარდნენ. რის გამო კრება შეჩერებულ იქმნა. კრების განახლებისას თავმჯდომარემ დაამთავრა თავისი სიტყვა. ამ სიტყვას უმრავლესობა ტაშის-ცემით მიეგება, ხოლო ჩეხებმა ხელ-ახლა მორთეს ყვირილი და სტვენა

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო". ბულლერისაგან მიღებული ოფიციალური დეპეშა იუწყება: „29 ოქტომბერს რაზმს, რომელ[illegible] რეკოგნოსციროვკისთვის იყო გაგზავნილი, შეტაკება

მომრიგებელი შუამავალი ვ. დ. თულაშვილი თავის თანამდებობას თავს ანებებს და მის ადგილზედ ინიშნება ტფილისის საგუბერნიო გამგეობის (საგლეხო საქმეების) მდივანი ა. თ. ყიფშიძე.

*** **ფრინველთა გავრცელების საზოგადოება.** ბ-ნმა მამიკოვმა ითხოვა, რომ მას ნება მიეცეს ფრინველთა გავრცელების საზოგადოების დაარსებისა. ეს საზოგადოება უნდა ექვემდებარებოდეს კავკასის სამეურნეო საზოგადოებას.

*** **საბჭოს მომავალი კრება.** ოთხშაბათს 8-ს ამ თვეს ტფილისის საბჭოს კრებაზედ განხილულ იქმნება შემდეგი კითხვები: 1) არჩევანები ქალაქის გამგეობის წევრთა მ. ს. შესტაკოვისა და თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მაგიერ, რომელთაც ეხლა ვადა უთავდებათ; 2) ქალაქის შენობების დამფასებელთა კომისიის ზოგიერთ პირთა ცუდ მოქმედებაზედ 1897 წელს; 3) გარდაცვალებულის ასატურ გირგიდოვის საქველ-მოქმედო ანდერძზედ; 4) საბჭოს ხმოსნის პ. მ. იაკიმოვის თავის თანამდებობის თავ დანებებაზედ და 5) ა. ბ. ბუჩყიევის წინადადებაზედ, შესახებ მისი შენობის შეძენისა ქალაქისაგან და სხვ.

*** **თელავის მაზრის თავად-აზნაურთა დადგენილება.** ტფილისის გუბერნატორს შეატყობინეს, რომ თელავის მაზრის თავად-აზნაურთა კრებას ერთ ხმივ გადაუწყვეტია დაარსება თელავში ავადმყოფთა ქსენონისა. აგრეთვე დაუდგენიათ, რომ ადგილობრივი ვენახები დაზღვეულ იყვნენ სეტყვისაგან. ამას თანავე დაადგინა გახსნილ იყოს საავადმყოფო ქსენონები სოფ იყალთოში, იყალთოს საავადმყოფო ქსენონის დასაარსებლად მაზრის მარშალმა თავ. დ. ი. მაყაშვილმა შესწირა 500 მანეთი, თავადმა ჯანდიერმა შესწირა 300 მ. და დახმარებას დაჰპირდა.

*** **თავი გაანება ხმოსნობას** ტფილისის საბჭოს ხმოსანმა პ. მ. იაკიმოვმა.

*** **ხეხილების გავრცელებაზედ.** სამეურნეო და მიწად მოქმედების მინისტრის განკარგულებით იმ 1890 წლიდგან ტფილისის ბოტანიკურმა ბაღმა უნდა დაურიგოს გუბერნიის სასწავლებლებს 10,000 ეხილი—ვაშლი, მსხალი, ატმები ბალი, ალუბალი, გარგარი და სხ.

ამისათვის სამეურნეო საზოგადოების უფროსი შეეკითხა კავკასიის სასწავლებლების უფროსს, თუ რომელ სასწავლებელს უნდა მიეცეს ეს ხეხილები.

*** **ვეტერინარებზედ** საშინაო საქმეთა სამინისტრომ ნება მისცა რომ კავკასიაში მომატებულ იქმნეს ვეტერინართა რიცხვი ჩვიდმეტ ადგილას პროვინციებში და რკინის გზის სადგურებზედ; ვეტერინარებს უნდა ჰყავდეთ მოარგმნელები ყარაულები 360 მ. ჯამაგირით წელიწადში; უნდა ჰყავდეთ აგრეთვე ფელშრები 420 მან. ჯამაგირით წელიწადში. ვეტერინარის ინსპექტორმა მისწერა გუბერნიის ვეტერინარებს, რომ მათ უნდა შეატყობინონ თუ სად უნდა იყვნენ მომატებულნი ეს პირნი.

*** **გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.** წლიური თავად-აზნაურთა ტფილისის გუბერნიის კრება დ-მა გუბ. დაამტკიცა მომავალ 20-ს მარტისთვის. ამ კრებაზედ სხვათა შორის უნდა ამორჩეულ იქმნენ გუბერნიის და მაზრის მარშლები და სამაზრო დეპუტატები.

*** **ქალაქის გამგეობაზედ.** ტფილისის გუბერნატორმა ი. ნ. სვეჩინმა გაუგზავნა ქალაქის მოურავს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის დადგინება, შესახებ პასუხის ქვეშ მიცემისა რამდენიმე პირთა რომელნიც ქალაქის შენობების დამფასებელთა კომისიაში იყვნენ.

*** **ჯარში წასაყვანნი დამალულნი.** 3-ს ამ თვის ტფილისის პოლიცმეისტეს წარუდგინეს ახალი სია იმ პირთა, რომლებთაც წელს კენჭი ერგოთ და უნდა სამხედრო სამსახურში იყვნენ მიღებულნი. ამ მესამე სიით დამალულები არიან 41 კაცი რომელთაც შორის 25 სომეხთა 16—კი სხა და სხვა ტომისა.

## სასამართლოს მატიანე

—

აზნაურ კაცია ხუბუტიას ჰბრალდებოდა ორი ცხენის მოპარვა, რისთვისაც ქუთაისის ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა ყოველ ღირსების ახდა და გადასახლება საუკუნოდ ციმბირში. გუშინ, 2 ს ნოემბერს, სასამართლო პალატამ ეს განჩინება უკანონოდ სცნო და გადაუწყვიტა დამნაშავეს მხოლოდ ექვსის თვით დაპატიმრება ციხეში; ღირსების ახდის შესახებ კი პალატამ დაადგინა უქვემდებარობის ხელმწიფე იმპერატორს შეწყალება.

პალატაში კაცია ხუბუტიას იცავდა ვექილი გიორგი გვაზავა.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**ბრისტოლი.** „რეიტერის სააგენტო“ ბიგსმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ ჩქარა დადგება ის დრო, როცა ბედი სრულებით უმეხთლებს მტერსაო. ომმაო,—განაგრძო ორატორმა,—ყველა კონვენცია შესცვალაო; ინგლისის მოვალეობა დაარსოს კარგი და სამართლიანი მთავრობა, თანასწორს უფლებაზედ დამყარებულიო. ინგლისმა უნდა მიანიჭოს სამხრეთ-აფრიკას, რამდენადაც შესაძლებელი იქმნება, უფრო სრული თვითმართველობაო.

**მასერა.** „რეიტერის სააგენტო“. როგორც ნიშნები არის, ბაზუტების წინამძღოლი იოელი ბურებისაკენ გადადის; სხვები არ ჰღალატობენ ინგლისს.

**ტული.** „რეიტერის სააგენტო“. ბურებმა პიატოვეს ტრანსვაალის საზღვრები ჩრდილოეთის მხრით, დასტოვეს რა პონტედრიფტეში ერთი რაზმი.

**ფრანკფურტი მაინზედ.** „ვოლფის სააგენტო“. გენერალ ჟუბერის მთავარ სადგურიდგან „Frankfurter General Anzreiger“-მა კერძო წერილი მიიღო, 9 ოქტომბერს დაწერილი, გლენკესთან ბრძოლის შესახებ. ამ წერილიდგან სჩანს, რომ 8 ოქტომბერს, გლენკეს ქვემოთ, ლუკა მაიერის უფროსობით, ბურებს მოჰკლომიათ 10 კაცი, დასჭრიათ 27. ინგლისელების მხრით მომკვდარა 39 კაცი, დაჭრილა 171, გარდა ამისა, ასი ვუსარი ტყვედ იქმნა წაყვანილი. ბრძოლამ 8 საათს გასტანა; ბურებს ჰყავდათ ბრძოლაში 1000 კაცი და ერთი ბატარეია ინგლისელებს—4000 კაცი და ორი ბატარეია. როცა ბურების მეორე რაზმი მოვიდა ბრაემესის უფროსობით, ინგლისელებმა დენდისაკენ დაიწიეს.

**პარიზი** მელინმა პროგრესისტ-დეპუტატთა დასის კრებაზედ დილით სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ საჭიროა არის სრული თანხმობა პროგრესიულის დასისაო თანხმობა ეხლა უფრო ადვილია, როცა დრეიფუსის საქმე გათავებულია და არავ შემთხვევაში არ შეიძლება მისი განახლება, მიტომ რომ საერთო წინაამდეგობას გამოიწვევსო; დასი წინანდებურად დაიცავს თავისუფლების და მშვიდობიანობის პოლიტიკასო.

**რომი** მეფემ პარლამენტი გახსნა სეფე სიტყვით, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი მოიხსენია: „იტალიას, სწამს-რა თავისი მომავალი, ყველა სახელმწიფოსთან კარგი განწყობილება აქვს. არავისაგან არავითარი შიში არ მოელის ჩვენს საგარეო პოლიტიკას, რომელიც, შინაურს პოლიტიკასთან ერთად, ხელს შეუწყობს პროგრესს და ქვეყნის ეკონომიურ კეთილ-დღეობასაო.

**პარიზი.** პალატა. დიდი მოძრაობაა. დეშანელმა წაიკითხა მრავალი შეკითხვა; ვალდეკ-რუსსომ მოითხოვა რომ ყველა შეკითხვა მთავრობის საზოგადო პოლიტიკის შესახებ ერთად იქმნას შეერთებული და ის დაუყოვნებლივ განიხილოს პალატამაო. (მოწონების ხმები ისმის). კოშენი (მემარჯვენე) ტრიბუნაზედ ავიდა.

სხდომის შემდეგ სენატი დაიშალა შაბათამდე, რათა ხვალიდგან უმაღლესმა სასამართლომ სხდომები განაგრძოს.

**პარიზი** პალატა. კოშენმა უსაყვედურა მთავრობას, რომ მილიერანი აირჩიეთ თანამშრომლად და სოციალისტებს გზა გაუხსენით მთავრობისაკენო. მემარჯვენეთა წევრმა გრანმეზონმა გაჰკიცხა გალიფე, რომ მხედრობის დაფარვა ვერ მოახერხეო და იმ ღონისძიებათათვის, რომელიც გენერლების წინაამდეგ იქმნა ხმარებულ. ნაციონალისტმა ლაზიმ ენერგიულად გაჰკიცხა ღონისძიებანი, ზოგიერთ აფიცრების წინაამდეგ ხმარებული, და დასძინა, რომ აფიცრებს სრული უფლება ჰქონდათ ეთქვათ, რომ ეხლანდელი მთავრობა სამარცხვინო რამ არისო. ორატორმა, განაგრძო-რა, სთქვა რომ აი ორი წელიწადი სრულდება, რაც მხედრობას ჰკიცხავენ და მფარველიკი არავინა ჰყავსო. როცა ასეთი მთავრობა არის, დისციპლინის დარღვევა მოვალეობას შეადგენსო. გალიფე ტრიბუნაზედ ავიდა მინისტრმა წინაამდეგობა განაცხადა ლაზის სიტყვების შესახებ და სთქვა, რომ მხედრობას უფლება არ აქვს ილაპარაკოსო. არც ერთი ჩემი სიტყვა არც ერთი ჩემ მიერ მიღებული ღონისძიება სანანურად არ მიმაჩნიაო. გენერალი ნეგრიე დავსაჯე-რა, ამით მე ჩემი მოვალეობა შევასრულეო. კასანიაკი ავიდა ტრიბუნაზედ და სთქვა, რომ დრეიფუსისათვის სასჯელის მიტევება მხედრობის შეურაცხება არისო. ორატორმა უსაყვედურა მთავრობას, რომ მხედრობას მფარველობას არ უწევთო, რომელსაც ცილსა სწამებენ და შეურაცხებას აყენებენო. ვივიანმა განაცხადა, რომ სოციალისტები მზად არიან მთავრობას მხარი მისცენო. შემდეგი სხდომა მოხდება ხუთშაბათს

**ქაირი** „რეიტერის სააგენტო“ გენერალმა კიჩნერმა, გაიგო რა, რომ ხალიფი, რომელიც ამას წინად კორდოფანში წავიდა, ამჟამად დუემეში იმყოფებაო, თეთრს ნილოსზედ, ხართუმიდგან 130 მილის მანძილზედ სამხრეთისაკენ, გადასწყვიტა ხართუმში წასვლა დღესვე, და არა პარასკევს.

**ლონდონი.** მეხუთე დივიზის უფროსად, რომელიც ეხლა სალაშქროთ ემზადება, დანიშნულია გენერალი გარალდ უარესნი, რომელმაც გამოცდილებით იცის—როგორ უნდა ომი სამხრეთ-აფრიკაში.

Дозвол. цензурою. Тифлисъ, 4 Ноября 1899 г. [illegible] ), რედაქტორ-გამომცემელი ფ. გუნია